

საქართველო

საქართველოს
ქრონიკული
ბიბლიოთეკა

სურათებიანი ლამაზობა


ბაზეთის № 149

დამატების № 5

შაბათი, 21 გიორგოვისთვე 1915 წ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დაარსებულან

35 ც ღ ი ს უ ე ს კ უ ლ ე ბ ი ს გ ა მ ე ლ



ილია ჭიკვაძე.



დიმიტრი ყიფიანი.



ექ. გაბაშვილი.



გ. შალვაშვილი.

მთავარ გამგეობის თავმჯდომარე




ან. წერეთლისა.

პატრივალთა უღრის ფეკა-კითხვის
35 წლის უის

გამაგრცელეხელ სარ. ღბარსეხიღმ
რულეხის გაგო




იკო გოგებაშვილი.




ბ. ლოლოვერიძე




სერგეი მეხი.



დავით კარიკაშვილი.



ნიკო ცხევედაძე.



ვ. თულაშვილი



გიორგი ქართველიშვილი.

სეველური

გრილეს ქარი,
 ღრუბელთ ამქარი
 ხან იკუმშება,
 ხან გაიშლება,
 ხან ყალუხე დგება!
 —
 ცა დაკარგულა,
 ცა აღარ არი,
 ლეგა ზვირთებზე
 დატურავს ქარი,
 თრთის მთა და ბარი!

ცივდება გული,
 ნაგრძობ-ნახული
 დნება წამწამზე.
 დახუჭულ თვალზე
 ესვენება მზე!

დაკენის ქარი;
 იყო სიზმარი,
 იყო სიციცხლე,
 და აღარ არი.

ჩამოწყდა ზარი!
 ჩამოწყდა ზარი!
 ი. ევლოშვილი.

მარტი
 1915 წ.

გგოსანი და კალწული

თმა გაშლილმა, ნახეერად შიშველ-
 მა ქალმა ნაზი ხელები ძვირფასად შე-
 მკობილ ჩონგურს მოაგლო და ბრო-
 ლის თითებით დაღუმებული სიმები
 მომართა.

და გაისმა საამური ხმა...
 იგი გატაცებით უკრავდა...
 ჩონგურის სიციცხლით აღსავსე ხმა
 დარბაზიდან მთელი სახლის სივრცეს
 მოედო. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა
 მშვენიერი ქალის სიმღერითა და ჩონ-
 გურის სიმების ჟღერით სტკებოდა...
 იგი ჩონგურზე სეველის რითმებს
 ამღერებდა...

იქვე მეორე ოთახში ახალგაზრდა
 სიხარულის მგოსანი იდგა. მას ჩონ-
 გურის ასეთი ჟღერა და ქალწულის
 ლექსთა წყობები სტანჯავდა...
 მგოსანმა სიმების მომართისთანავე
 ხელში კალამი აიღო და სარკმელიდან
 თვალ უწვედნელ სივრცეს მიაჩერდა.
 მან იმედის ჰიმნი ოთხ სტრიქონში
 გამოხატა.

მგოსანმა ახლად დაწერილი ლექსი
 აიღო, გადაიკითხა და სურათებით შე-
 მკობილ კედელს მიაჩერდა.

ქალწული კი ისევ უკრავდა. ეგონა
 რომ ახალგაზრდა მგოსანს მოხიბლავ-
 და და ჩონგურის საუცხოო ჟღერით
 მშვენიერად მორთულ დარბაზში მიი-
 ზიდავდა.

ქალწულმა რამდენჯერმე შესცვალა
 ჰანგი, მაგრამ სიხარულის მგოსანს
 გულში არც ერთი არ სწვდებოდა.
 მას მოჰბეზებოდა სევედა და მწუხა-
 რება. მისი ოცნება იმედით და მოუ-
 სვენარ სიციცხლით იყო შემკობილი.

ქალწულს ბროლის თითები დაეღა-
 ლა... მოიქანცა... ფიქრობდა: რატომ
 მგოსანს თავის წარსული აღარ მოს-
 წონსო! ჩონგური ხელიდან გაუვარდა.
 თითქოს ეს მგოსანმა აიძულაო.

მეორე დღეს ქალწული მგოსნის
 ოთახში მალულად შეიპარა. იქვე მა-
 გილიდან სისხლით დაწერილი ლექსი
 აიღო და ფეხაკრებით გარედ გავიდა.

მას შემდეგ ისმის ქალწულის ბაგით
 ჰიმნი სიხარულისა და აღტაცებისა,
 ჰიმნი შეებისა და ნეტარებისა; სასო-
 წარკვეთილ გულში იმედს უნერგავს.
 ქაბუცს ბროლისთვის ამხნევებს, მო-
 ხუცს ძალას ჰმატებს. დაიმსხვრა სევედა
 და უიმედობა. აღიგზნო სურვილი მო-
 მავალ სიციცხლისადმი!

ნ. ასათიანი.



კომუნისტური

ბრძოლის ველზე

(ოფიცრის წერილიდან)

ომი კერძოდ ჩემთვის გასართობია. ბავშვობისას ჭიანჭველების ბუდესთან ხშირად მინახავს პაწია ჭიანჭველების ჩხუბი. მინახავს, როცა ერთი გუნდი მეორეს დაჰხვევია და მწერებს ორკაპი პირი ერთმანეთისთვის ჩაუვლიათ, აქეთ იქით გაუწევე-გამოუწევიათ, ხან მოწითალო ჭიანჭველებს უჯობებიათ. ხან მოშავოებს. ბევრისთვის კისერი წაუგდებინებიათ, ბევრისთვის ფეხი. ბევრი შუაზე გაუწყვეტიათ. მე კი მიყურებია მათ ბრძოლისთვის და გული გამიყოლებია, გავრთობილვარ, მიციონია, გავკვირვებულვარ! შემდეგ ერთ ერთს რომ დაუძღვია, გამიშველებია. მაგრამ მაინც ერთმანეთისთვის თავი არ დაუნებებიათ, კვლავ შეტაკებულან. მიმზერნია, მიმზერნია, მომწყინებია მათი ომი, ყველასთვის ფეხი დამიდგია და მათში მძლეთა-მძლევ და დამარცხებულიც ყველა ერთად გამისრესია.

ვინც მისთვის სტირის—სატირელი თვითვე გამხდარა! რით ვერ გაიგეთ, არაოდეს ის არ მომკვდარა?! ყრმანო მამაცნო! ჰხედავთ, ჟამი ჩვენი დამდგარა!

აბა შეჰხედეთ, ცხოვრების ეტლს ვით მიაქროლებს! ცოცხალის სახით, თვისის ნახვით ყველას ათრთოლებს. მარად გვაფხიზლებს: რას გვიბრძანებს, სად შეგვაბრძოლებს!

წინ ვინ გადუდგეს? თავი რომელს მოსძულებია? ლამაზ დედოფალს ქორწინის დღე გასთენებია! გზა, მის მაყრიონს!! გუგუნის ხმა ველს მოსდებია!

ხვალ ბრძოლის ველზე ვაგვირგვინებთ, არ გაგვიგია? დასძახეთ მედგრად: თავდადება ჩვენი რიგია! კვლავც ვაღლეგრძელებთ: სიხარული მარად იგია!

მაშ ვილა ჰგოდებს? სატირელი თვით რად გამხდარა? ემანდ ჯაბანი დააჩუმეთ, გლოვით წამხდარა! რით ვერ გაიგეთ, არაოდეს ის არ მომკვდარა! ყრმანო მამაცნო! ზეიმის დღე უკვე დამდგარა!

სანდრო შანშიაშვილი.

ჩანვს

გულო ერისავე! რამ მოგადუნა, რამ შეგიწყვიტა სალხინო ხმები? ეგ მწარე ხვედრი დღეს ვინ გარგუნა, ვინ აგიტირა ნაზი სიმები?

დაიგუგუნე, გულისა გულო, აახმაურე მძინარე ერი! აღზრდექ, აპყვავდი გმირთა მამულო, იყავ მედგარი, იყავ ძლიერი!..

გ. უიშვილი.

რაგინდრანათ ტავორიდან

გერმანულიდან.

ყოველ დღე მოდის და ისევ უკან ბრუნდება. მიეგებე და მიეც მას ყვაილი ჩემის თმიდან, ჩემო მეგობარო. თუ გკრთხა, ვინ არის იგი, რომელმაც გამოგატანაო, გემუდარებე, მას არ უთხრა ჩემი სახელი, რადგან იგი მხოლოდ მოდის და ისევ უკან ბრუნდება.

მტვერში ზის იგი ხეხილთა ქვეშ. მისი თვალები ნაღვლიანია, მისი თვალები ჩემს გულში სევდას სთესვენ. არ ამბობს იგი, რასაც ფიქრობს. იგი მხოლოდ მოდის და კვლავ უკან ბრუნდება.

* * *

შებინდებისას რისთვის ვსთხოვდი მოსიარულე ახალგაზრდას ჩემს კართან მოსვლას?

ყოველთვის როდესაც კი გავივლ-გამოვივლი ხოლმე, მის წინაშე ვჩნდები და ჩემს თვალებს მისი სახე ატყვევებს.

არ ვიცი, უნდა დაველაპარაკო რამე, თუ ჩუმად ვიყო? რისთვის ვსთხოვდი ჩემს კარებთან მოსვლას?

მკათათვის ღრუბლიანი ღამე წყვილიადით მოცულა. შემოდგომისას ცა ნაზმორლურჯოა. გაზაფხულის დღეს სამხრეთ-ქარიშხლის წინ სიმშვიდე დაუკარგავს.

თავის სიმღერას იგი მარად ახალ სიბრძნეიდან ჰქსოვს. ჩემს სამუშაოს თავს ვანებებ, ჩემი თვალები ღრუბელთაგან დამძიმებულია. მას რისთვის ვსთხოვდი ჩემს კართან მოსვლას?

* * *

ნუ იტოვებ შენთვის, შენის გულის საიდუმლოს, ჩემო მეგობარო! მე გამიმელავენე, მხოლოდ მე საიდუმლოდ, მხიარულად რომ ილიმები, ყრუდ ჩამჩურჩულე, მოვისმენს ჩემი გული და არა ყური.

მყუდრო ღამეა, ჩემს ბინაზედაც მყუდროებაა. ფრინველთა ბუდე ძილშია გახვეული.

მითხარ შეგუბებულ ცრემლით, განრისხებულ ლიმილით, ტკბილის მორცხვობით და მწუხარებით, მითხარი შენი გულის საიდუმლო!

ს. შ.

ყველა რალაცას ეძღვება ყველას რალაცის ეშინიან. ყველას თავის თავი აქვს საზრუნავი.

მე კი ვსდგევარ და ყველას თამაშს გულცივად ვუმზერ, ხან და ხან გერთობი.

ერთხელ დაბანაკებული ვიყავით. დალილ დაქანცულნი ვისვენებდით. ზოგი ცეცხლზე თერმონის (ჩაის) იღებდა, ზოგი გამხმარ პურს გემრიელად შეექცეოდა. ზაფხულის დღე იყო და ზოგს ტანისამოსი გაეხადა და მწერებს ჰხოცავდა, მწერებს ეომებოდა პაწია მწერს დიდი ორფეხა მწერი—ადამიანი შეეწუხებინა. ზოგიც მწვარივით მიგდებულყო და ისე ღრმა ძილს მისცემოდა, რომ მკვდარს დამსგავსებოდა. ზოგიც მძინარე ვერ ისვენებდა ხელებს იქნევდა, სიზმარში ვილატას ებრძოდა. სახე ელმანჭებოდა. ბლუნავდა.

ჩვენს გარშემო კი ზარბაზნების საშინელი გრიალი ყურთასმენას აყრუებდა. ყუმბარები ჩვენს ახლო-მახლო სქდებოდა. სრულებით ფიქრად არ მომსვლია, რომ ერთ-ერთი ყუმბარა ჩვენს შორისაც დაეცემოდა და ყველას მტვრად გვაქცევდა. ვიყავ გარინდებული. არც არაფერზე ვნაღვლობდი, არც არაფერი მიტაცებდა.

გული ჩემი უმოძრაოდ იყო, გრძობა ჩემი გაყინული; დამიწყებოდა მშობლები და ნათესავები, სწორნი და მეგობარნი. წარმოიდგინე, ჩემი ერთადერთი საყვარელი არსება მთელს დედამიწის ზურგზე, ჩემი სატრფო უმიზეზოდ და ჩემდა გამოუჩვენებლად მეზიზღებოდა. სატრფოზედ ფიქრსაც თავი დავანებე და ვიყავ წამოწოლილი, ვითუსულო და უგრძობი ხე ან ქვა. ჩემს მოშორებით მთელი რაზმი ჯარისკაცებისა გამხეცებული ყუმბარების გრილს ყურს უგდებდნენ. მათს ახლოს გასქდა ყუმბარა. ორი თუ სამი წუთის შემდეგ ერო ჯარისკაცს თავში ზემოდან, მოგლეჯილი ფეხი დაეცა, ერთს წელების ნაფლეთები და ადამიანის ხორცის ნაფლეთები. ჩემს ფერხთა წინ თვალებ დაჭყეტილი და კბილებ დაღრეჯილი გასისხლიანებული თავი გამოჩნდა. ვინ იცის, ყუმბარისაგან ამ ღროს რამდენი უკვალოდ დაიკარგა, მე კი ვიწექ ჩემთვის და ასეთი საშინელება მართობდა. საშუალება მომიცა ჩემი ფიქრი ამომეძრავებინა.

და ეს ფიქრი იყო: რით ვათავებობოდა ომი!

ცოცხალი გადაგრჩებოდი, თუ მეც ყუმბარა დამფლეთდა და უკვალოდ დავიკარგებოდი, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, ჩემთვის სულ ერთი იყო; საშინელებით ვერთობოდი!

XX



მე ვარ და ჩემი ჭანდრაკი, გამთენებელი ღამისა! მექანდაკობა არ გადის, მიმდევარი ვარ ამისა!